კვირა, 21 ივნისი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

თბილისის ტრამვაის მოლოდინში.

როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ამგვარი გასართობები მოაწყოს ზემელის აფთიაქთან ტრამვაის მომლოდინე მგზავრებისათვის.

პანთეონი.

დიდი ხნის წადილი განხორციელდა და ქართველებმა შეიძინეს პანთეონე ადგილი.

თუმცა უკანასკნელი ქართველი, ჭეშმარიტათ ღირსი პანთეონში დაკრძალვისა, აკაკი, დაკრძალული იყო კიდეც, ასე რომ ცოცხლებში აღარავინ რჩებოდა პანთეონისათვის, მაგრამ განა დიდებულ მიცვალებულებს კი არ სჭიროდათ შესაფერი, დიდებული, სამარხი?

გაჩაღდა მუშაობა და სულ მოკლე ხანში გადმოასვენეს და ახალ წიაღში დაკრძალეს ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეთა ნეშტნი: აკაკის, ილიასი, დიმ ყიფიანის, ალ. ყაზბეგის. ნიკ. ბარათაშვილის და სხვათა

ჩვენ, ცოცხლებს, ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ იქ, საფლავთა სიღრმეში, თავისებური, იქაური „ცხოვრებაა“ და აბა, როგორ არ გაგვაკვირვებს ის ამბავი, რომ ჩვენი სასიქადულო მიცვალებულნი ძლიერ გაახარა ერთად შეყრამ და ურთიერთის ნახვამ.

მართალია, უმეტესობა სხვა და სხვა ეპოქისა და სხვა და სხვა აზრისა და მიმართულების იყვენ, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც ხელს არ უშლიდა მათ კეთილ ურთიერთობას, რადგან ისინი ცოცხალთა ფსიხოლოგიაზე მაღლა იდგენ: ნაცვლათ ვნებათა ღელვისა და ცოცხლური თავმოყვარეობისა მათ ეხლა სიკვდილის საიდუმლოებას ზიარებულ ბრძენთა ამაოების გრძნობა, სიმშვიდე და სულგრძელობა ახასიათებდა...

ასე „ცხოვრობდენ“ პანთეონში ჩვენი მიცვალებული მოღვაწენი, დიადი დუმ ლითა და აღუშფოთებელი სიწყნარით გარემოცულნი, ვიდრე მოხდებოდა ის, რის საამბობათაც ეს წერილი დავწყე...

პანთეონის გარშემო დიდი აურ-ზაური და პოლემიკა ატყდა.

ერთმა ქართველმა მოღვაწემ, აღარ მახსოვს მგონი „შინაურმა“ თუ „ბარელმა“, პრესაში აზრი გამოსთქვა, პანთეონში დაკრძალვის უფლება მიეცეს ისეთ მოღვაწის გვამს, რომლის ზომა 2 არშინსა და 7 ვერშოკს არ აღემატება, რადგან გრძელი მიცვალებულების დაკრძალვა პანთეონის ადგილის გაფლანგვა იქნებაო.

ამ აზრის ავტორს უკიჟინეს, შენ გულში ზაკვა გაქვსო: თვით შენ 2 არშინი და 5 ვერშოკი ხარ და სიკვდილს შემდეგ რომ თუნდ 2 ვერშოკიც გაიწიო, შენს დაწესებულ ნორმას მაინც არ გადასცდებიო. სხვები კი, შენზე მაღლები, თუმცა არანაკლებ ღირსეულნიც—პანთეონს გარეშე დარჩებიანო.

ამ საკითხის შესახებ თევდორე ღლონტმაც ჩინებული წერილი მოათავსა „სახალხო ფურცელში“. პანთეონის სამარხთა ეკონომიის პრინციპს ეს მწერალიც იზიარებდა, მაგრამ „შინაურის“ მოწოდებულ პრაქტიკულ ზომას არ ღებულობდა. „კავკასიის კალენდრიდან“ დიდის ხელოვნებით ამოკრებილ სტატისტიკური ცნობებით ამტკიცებდა, რომ ქართველ მოღვაწეთა საშვალო ტიპის სიგრძე „შინაურის“ ნორმას 2 ვერშოკით აღემატებოდა და 53,47% ღირსეულ მამულიშვილთა პანთეონში დაუმარხავი დარჩებოდა.

„.. გნებავთ მართლა ეკონომიით მოეპყრათ ქართველ დიდებულთა სამარხ მიწას?—ამბობდა ბ. თევდორე – ბატონი ბრძანდებით: მე მოგაწოდებთ საშვალებას, რომელიც არც ამდენ პროცენტს დაჩაგრავს და ერთი ათადაც მეტ მომჭირნეობას გაგვიწევს: **დავმარხოთ ჩვენი მიცვალებულნი არ ჰორიზონტალურათ, არამედ პერპენდიკულარულათ!..** აი საშვალება, წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული და მათემატიკური მოსაზრებანაკარნახევი. ხოლო, რაკი ნორმა აუცილებელია დაწესდეს შემდეგი: მიცვალებულის სიმსხო უნ. უღრიდეს – მკერდში – არა უმეტეს 90 სანტიმეტრისას, ხოლო წელში—არა უმეტეს 70 სანტიმეტრისას“.

ბ. თევდორე ღლონტის წერილი იმდენად დასაბუთებული და მეცნიერული იყო, რომ ყველ სიამოვნებით მიიღებდა, ერთი გარემოება რომ გამორკვეულიყო:

ყველა ქართველ მოღვაწეებში ისე წვრილ მკერდში და წელში, როგორც თ. ღლონტის ნორმა მოითხოვდა, მხოლოთ ერთი კაცი გამოდგა, ისიც, თითქოს განგებ, თვით ბ. თევდორე ღლონტი. ეს უცაბედი თანაბრობა წინად განზრახულ ხრიკათ ჩაეთვალეს და მეორე მშვენიერი საშვალებაც, მიცვალებულთა ყირაზე დამარხვაც უარჰყვეს.

ასე იბრძოდენ და დაობდენ ცოცხლები პანთეონისათვის, პანთეონში კი ჩვეულებრივი სიმშვიდე სუფევდა, მიცვალებულები სასიამო ნირვანაში განიცდიდენ და ჩვენთვის უცნობი გრძნობის საშ ლებით მსოფლიოს დაუსრულებლობასა და მ დისობას სჭვრეტდენ.

25 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პანთეონი დაარსდა და ჯერაც არც ერთი ახალი საფლავი არ მიმატებია ძველ საფლავებს.

მაგიერში ოცდა მეექვსე წელს დადგა ნამდვილი რთველი სიკვდილისა, რომელმაც დაიწყო ჩვენ საუკეთესო მოღვაწეთს მკა და სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ათ-მდე ახალი საფლავი შემატა პანთეონს; 1940 წლიდან 1946-ამდე ქართველმა ერმა პანთეონს მიაბარა თეოდორე ღლონტი, კიტა აბაშიძე, არჩ. ჯ—შვილი და რვა კიდევ სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

ყველაზე უწინ კიტა აბაშიძე ჩაესვენა პანთეონის წიაღში. შუბლს ის ეკლის გვირგვინი უმშვენებდა 1915 წელს რომ დაიდგა თავზე ნება-ყოფლობით.

კიტას ჩასვლამ დაარღვია პანთეონის მკვიდრთა სულის სიმშვიდე: აკაკი სამჯერ გადატრიალდა საფლავში, ილიამაც თითქოს პირი აარიდა და დანარჩენებსაც დაეფრთხა და გაეცალა უშფოთველი თავდავიწყება. ხოლო, როცა, კიტას შემდეგ, სხვა მოღვაწეებიც ჩამოესახლენ, პანთეონის ძველი ბინადარნი შეკრთენ. საფლავთა კუნჭულებში გაიწიენ, რომ ახალ მოსულთ მოშორებოდენ.

პანთეონში ჩამოვარდნილი ულერხულობა და უსიამოვნო განწყობილობა პირველათ კიტამ შეამჩნია და თავისებურათ ახსნა:

— თავადო ილია, ნება მიბოძე გაგაცნო. ეს გახლავს ჩვენი გამოჩენილი პუბლიცისტი, დაიწყო კიტამ, მაგრამ აღარ დაუთავებია. ილიამ არც კი მოიხედა კიტასკენ.

სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს სიჩუმე არ გავდა იმ დიად დუმილს, კიტას და მისი ლეგიონის ჩამოსვლამდე რომ სუფევდა პანთეონში.

— ეს ეკლის გვირგვინი რა არის? —ვეღარ მოითმინა აკაკიმ.

— ეს 1915 წელს დავიდგი...

— თითონ დაიდგი?

— დიახ, მე თითონ დავიდგი... ესდეკებმა მაიძულეს...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— კიდევ რა ღვაწლი მიგიძღვის, რომ პანთეონში დაგკრძალეს? ჰკითხა ილიამ.

— კრიტიკული წერილები: მე აღმოვაჩინე ჩვენს ლიტერატურაში 9 მოპასანი, 7 ალტენბერგი, რამდენიმე ტოლსტოი და ემილ ზოლა და ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა ყველა ერების მხატვრულ ლიტერატურაზე მაღლა დავაყენე.

— ეგნატე ნინოშვილი? —ჩაერია აკაკი.

— ვერ ვიცნობ...

სიჩუმე.

— გარდა ამისა თავადო ილია, მე შენი იდეალების მიმდევარი ვიყავი, დაარღვია სიჩუმე კიტამ.

— სოციალისტი? ჰკითხა ილიამ.

კიტამ არაფერი უპასუხა და ეკლის გვირგვინი გაისწორა შუბლზე.

კვლავ სიჩუმე.

— ავდგეთ!

მიუბრუნდენ აკაკი და ილია პანთეონის ძველ მკვიდრებს.

ყველანი ერთად წამოდგნენ და წასასვლელათ გაემართენ.

— სად მიდიხარ? ჰკითხა შეშინებულმა კიტამ.

— ეს პანთეონი თქვენ გეკუთვნისთ! უპასუხეს კიტას და გზას გაუდგენ.

— ერთი წუთით... გევედრებით, ერთი წუთით შეჩერდით... ორიოდე სიტყვა მ...ქევინეთ... და ისე ნუ წახვალთ!

შეეხვეწა კიტა.

შეჩერდენ.

— თავადო ილია! —დაიწყო კიტამ—მე არა მჯერა, რომ ყველა იმ სამსახურისათვის, რაც მე შენ გაგიწია, ასე უმადურათ მომექცე. შენ დიდებულო ილია, არ შეგფერის სანდრო შანშიაშვილის მიბაძვა... მე ვიყავ შენი სახელის უკვდაობის დარაჯი, მე გიცავდი შენ დასცილებისაგან, აღმოვაჩინე შენი მკვლელნი უთვალავი მგზნებარე სიტყვა წარმოვთქვი შენთვის და მრავალი წერილი დავბეჭდე... მოიგონე ყველა ეს და ნუ დაგვტოვებთ ათ...

— ჩემს მკვლელებს იმის მეასედიც არ უწყენიათ ჩემთვის, რაც შენმა მეგობრობამ მაწყინა...

— თავადო აკაკი! მიუბრუნდა აკაკის კიტა: შენს დაკრძალვაზე წარმოვსთქვი საუკეთესო სიტყვა; საერთო აღტაცება გამოიწვია მაშინდელმა ჩემმა სიტყვამ; ნუ დაივიწყებ ჩემს ამაგს... ნუ გამექცევი!

— გაისწორე! მიუთითა აკაკიმ გვირგვინს, რომელიც მარცხნით უვარდებოდა და გაჰყვა წასულ ამხანაგებს...

ვინაიდან ახალ მოსულებისათვის პანთეონში მარტო დარჩენა ვერაფერი სასახელო იყო, თავადაც წასვლა გადასწყვიტეს და გაქცეულებს გამოუდგენ.

მეორე დღეს პანთეონის ყველა საფლავი ღია და ცარიელი დაუხვდა მნახველს...

ეხლა აღარავის ესახელებოდა პანთეონში დაკრძალვა და ერთ დროს სიმწარითა და ვაი ვაგლახით შენაძენი ადგილი დიდხანს ცარიელი რჩებოდა.

დღესაც ტიალათ იქნებოდა ქართველ მოღვაწეთა სამარხი რომ 1953 წელს ეშმაკი და თაგუნა არ მიცვლილიყვნენ და პანთეონში არ დაკრძალულიყვნენ...

ასე დაიხსნა სირცხვილისაგან ქართული საზოგადოება ამ ორმა თავგანწირულამა მოღვაწემ.

თაგუნა.



სიზრმები.

როცა თვალი მიხელია
და ვუყურებ წუთი—სოფელს,
ცრემლი მომდის, რომ ვერ ვშველი
დაცემულს და ბნელში მყოფელს...
ცხადში გული მეთუთქება,
ფრთა ემსხვრევა სურვილს მფრინავს,—
მსურს რომ ძილში მაინც დავსტკბე
და ამიტომ მძინავს...მძინავს!..
მაგრამ ვაი, რომ ძილშიაც
კაეშანი არ მასვენებს:
თურმე რაც ცხადში არ ხდება,
მას სიზმარიც ვერ გაჩვენებს!..
სიზმარშიაც შეიძლება
თურმე შესდგეს მგელი ბერად!..
იქნებ ეჭვი შეგეპარათ?
მომისმინეთ, თუ არ გჯერათ...

I.

ერთხელ ვნახე: ქათმის კვერცხში
ვიჯექი და ვსწევდი თუთუნს.
ამ სოფელზე დავფიქრდი და
ყური მოვკარ რაღაც ჰუტუნს.
დავინახე—ვიც-მუნდირში
გაჭიმული კუდა-მელა:
უსინდისო, უნამუსო,
პირ-მოთნე და ცრუ-პენტელა.
შორით ქათმებს უყიოდა—
აქ მოდითო ჩემთან ყველა:
მე ვარ თქვენი მამობილი,
მე მსურს თქვენი ხსნა და შველა!..
გამიკვირდა... დაუკვირდი—
ეშმაკურად ჩაახველა:
ვიღაც გვერდში მოყვებოდა
და მოჰქონდა სახრჩობელა...

II.

ერთხელ ვნახე: ვითომ ავად
გამხდარიყო ჭიანჭველა,
ჯერ სულ ნორჩი ახალ-გაზრდა,
ლამაზი და პირ-ტიტველა.
დახვეოდნენ ექიმები:
რწყილი, კოლო ჭიაყელა,—
რწყილს რეცეპტი დაეწერა,
ცხრა ფურცელი აეჭრელა!..
ქინა, ინა, პიტნა, ზეთი,
მაწონი და მატიტელა
პირში ასხეს ჭიანჭველას,
მაგრამ მაინც არ ეშველა...
ცას შევხედე, გამიკვირდა...
იცინოდა ცისარტყელა—
რწყილს მოვჭლავდი, გამჩენს ვფიცავ,
რო მქონოდა მაჭახელა!

III.

ერთხელ ვნახე: ვიღაც პოეტს
და მსახიობს შეხვდათ ბელა:
მშიერ კუჭზე შეეჭამა
ორ კაცს ყველი ათი წველა!
ორივ ავად გამხდარიყო,
თავზედ ადგათ უდრეკელა—
ჭერზე ბუზი იცინოდა
თავ-მომწონე, უდარდელა...

სევდიანი.



ომის ილიუსტრაციები



ოსმალეთის კრეისერი „მეჯიდიე“ ადესის მახლობლათ აფეთქებული.



ᲒᲝᲯᲘ

(იხ. „ეშმაკის მეორეხი“ № 6)

მოგრეხილ ყველაფერს, ვიყოფეთ რაც საჭირო იყო... ბაგრან გოჯი ვიყოდე იმისთანა, რომ ეღესა ცოლ-შვილი დაიფიცა! — ეს არის ძეძეს მოეწყვიტა და ფანოვეფანეთ.

მიეგანერეთ ყველაფერი ირაკლის რესტორანში, სადაც უნდა ვეკანდილინა, განსაკეთრებით ნაგანარე გოჯი და ენეფეთი ბაღში სასეირნოდ.

ის დრო იყო, როცა „ᲨᲕᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ“ ეხეწვილები გამოფენილიყო ქალაქში და ხალხი სად ჩასაფრებულიყო, ხალხი სად!

მიკენტი, ღღეკანდელი სადილით უბრეკენელ ეოფილი, ყველ მოღეფრებული, ამყალთ ხელ-ეაფრილი, ეაერდით მიმეკენოდა.

— ოო, მიკენტი, ეიშოკენი ღღეს!..

მიმეკნა ეროთ კეთილად.

— მიკენტის და ხის სტეპარის სიცოცხლე და ღღეკრძელობა!

ეაილა შეორე მხარეს.

— მიკენტი არ ეაგვიეიეწყოთ! ეაილა ფეხაზე.

— მიკენტი, ხარრა! ეფეფრა შეორეს.

ეაეფარეთ რაკეკენის ნაბიჯი — სიმღერა ეაიფოკენეს.

— ეაბ-ელა, ორმაგ ეაიმენ ღღეს! ეაგალამა ეილაკან.

— ბაეფალ თე ეეშეფ, სალეფაეში ნაეკეეენი, ეადეთ! ეეშოფეკნა ხმა.

— მიკენტი, ბანალიზაციას! ეაილა ეროთ.

— ორაგეალიზაციას! ეკამეფა შეორეს.

— ბეკანალიზაციას! ეეკამა მიკენტის.

ეაიკეეილა.

თეორეე ასეთი ნეეალეკენა ჭეაილთ: თე ეიმენ ხალეკან ნაკენალი ნაკოკეეილა და ფალი ეეფალეს, ხელეაეილი რამენკენეს ეაგარეკენ ქალაქის ბაღში, რომ კეკალ ეაილამა. ხოლოს ხილიკენ რიმეკალიენ რესტორანში და ეაიმარალა ქეილი.

ეალეკა ხეორამი, რალეც ხიეალში ეკარალეკენოდი და ეაკოკებრენდი.

ეროთანაკ ხოლეარა ეალეკა ეკანიდან, ეაგალიეეა კისერი და ხეალის...

ძალეს თაკი ეაეკამეკა. ეეკეკეკ — ეიკა

— რიეალი ᲨᲕᲘᲓᲘᲐᲜᲘᲐ ᲒᲠᲐᲜᲓᲔᲜᲘᲗ! ცოლ-შვილი ხარ ეარეალ ეკეკეკ? რიდის ეამოარანდალ? ეიდ ხანს ეაარეკენ?

ეამეკალა ეკარის ტალანკენალ.

ბანეკს ძალეკ ეკანეროანდი.

— თქვენ ნუ ეოამეკეკენეთ, ისე ეაკეკარეა თქვენი ნაბეკა, ისე...

კიდეკ ეეკა და ხეალის... ბანრარანს.

ეიეკენალ რაც ენალალა და ეაკეკეკარე!

— ეალეს სალალალ ეამეკანალეკ!

ესა ესალეკი თე არა, ხელი ეამეეკა.

ამოეანენალეკ, საყელი ეაეანეეარე და ეამოკენალ.

— ბარალ ეკენ, სალეკ ეანალალალ, სხეა არაკენ ეაკანალალალ? ეამეკალა ეიკენალ.

ეეკეკ-ნა.

— ეე ყარეკენალალ, სანალალალ ეაკალალ ეარალ და ეენ კიდეკ სერესკენალ ეანალალალ?

— სანალალალ სალეკა და ეენ არაკენალ ეაკალალ! საეეკენალ ეარეკენალეკან ეარეკ ოანი აკენ ეაკენალალალ.

— თე ეანალალ თქვენ ოარი ეამალალ, თე არა ეაკენალალ-ეალალ და ნანეკენ ეაკენეკარე.

ოარეკენი ეკენენ, ნანეკალენ ხელი, ნანეკენენ ეეკალ, ეამარეკენენ ხალალან და ქვაკენალეკ ეაეალალ.

ეაკენალალ რესტორანის კარკენალ და ეაკენრენალ.

ეაკენრენალ!..

ეენენალ — ეანალენ ლანკა!

ეროთ ეანენ ეალალა, ეკენალ — ბეეკანალ, ეენანენ — ალალა, ეკენალ — ეანალ!..

ეენალალ.

ნაგრან ეალალეკრე, — ალალთ ყველანი აკ სალალალენ ეალალ და ეენალ.

ალალრალალ ირაკლი.

ეენალალეკ ეროთ ალალ ოთახენ.

ეაეენალალ ეროთ ალალ ოთახენ.

ეაეენალალ ალალ, ეალალალ სალალა.

ეს ეროთ „ხალალალალ“ ხალალ ეენალალალ, ეენალალალ ალალ სალალა და ეაეენალენ.

სალალარენ ეალალ ეენ ალალ.

ეალალალალ — ხალ ეაკენ სალალა ალალ ეენ.

— ალალალალ, ხალალ!

— ალალალალ, ეენ ეალალ!

— თქვენ ეალალ, ხალალ!

ყველანი ეე ეალალალალ.

ალალ ეენალ — ეენალალ ეაკენ ეენ.

ეალალ, ალალ ეს ეენ სალალა ალალ... ნაგრან ეს ხალალ — ხალალ?!

ეენალ ალალალ, — ხალენ ალალ ეალალალალ ალალ, ეალალ კი 28 ეაკენ!

ეაეალენ — ალალთ „ეენალ“ თე ხალალ

ბულ და ყველა თავთავისას გადაიხდის ზეთში. ამ ისეთი გულ-დამშვიდებული შეუღგენია სიდილს.

ათრიეს ტოლეუნაში.

— მიხა! დაიწყო ერთმა. ერთიც ენახოთ საქართველოში მოდიდან გადაგარდა დამატრეტა, — რა გეშველება ბაბან? ხომ მოჭკვდი შიშ-ბილით?!

— შენსას მოვალ და ვიცხოვრებ! ხელრეალით ეპასუხა მიხამ.

— რატომაც არა! სოფელში ღვინო ბევრი ბევრს და ბერი! შენისთანას ხეთის დაგარჩენ! თავ-ბიუნეთ და სერიოზულად ეპასუხა.

— თუ ამდენი გაჭვს, დაირასავით რომ შეგ-ნიშნია ბეცელი, ვერ ჭამე, რომ ცოტათი მოკვეთ-ბელიყავ? ხელოვანარეა ბიკენტის.

— ბიგთ სოფელს რომ გადაუხედე—ბალიანი ბეგონა... ხელის გელიავით მოუბენდილია და ბარ-ტი ბეჭრენიდან დარჩენილი. ხეთო ერთმა,

— ამა, თქვენი ჭირიმე, გამოიარელიდით! და-ლიეთ! გაისმა ტოლეუნაში ხმა.

ბარიალი გაიბრა, ბესიამოუნა. ხენდა ბატე-ალენდლად შეიკრიბნენ ყმაწვილები და თავიანთ ოფერაზე ბეც ბაჭვიეენენ, ან თუ ბილთ დამატი-ენენელი არა ვარ, ხმეს ხეენერ ბაიც გადაეიტანა-ბენეენ.

ბაგრან რითი დაეიშალეენ ასეთი ყურადღება? ეენოელესთან არ ვიკნოვ! აღმა ბიკენტისა და ლიკის ბატეიანეენა თეა-ბეთენ.

ერთმა ღვინო არ დალია.

„ადგილამრეთ ღვინის არა ვსვამ და „ეხე-თია“ ბინდაა“.

ბოთიანეენს ბენაბე ნიბეენი „ეხეთია“.

— ბენაბა ბენენ, ხალხიაც ბენაბე ნიბეენ „ეხ-ეთია“ ხეენ! დაიყენერა ერთმა.

— ეხეთია თუ არა ვსვამ, ღვინო ბიბდის ინსიანა, რომ ეხეთია არ ჩამოეგარდენა. ერთი ბენი ალილ ბოეთარეენი ბაჭვს. დამატრიანა ნაწ-ენენა.

— ბენი, ბე ბენ ბენეენი, ხეთი ეაეი ჩადის ბია ამოიარეენია. ერთი რომ ამოიენენთეა, ენეენი-ბე ამოეენენა ღვინიანათ.

— ბატარა ბენიც ბენენი ბაჭვს და დიდიც!

— დიდიც ენანეთ! ჩაეხედე ბიბ. ღვინო ბე-ენია და ბაეაენენა კი „ჩენეტი“ გამეენეთს!.

ასეთი ინტენენია და ბანენი სიტენენი ნაკ-ენენენია ბრენენა. ამა დაეიბეტ ბენენენი, ტე-ბილი ბიბენენი, ენეენია... ღვინის ენიანენ, — ბენიეი-ენ ბაგლიანი ეენან!

ბეც ბაენბიანენენ. ბათი სოთანბენენ ყოველი ენეი ბამეენენტა.

ბაგრან...

ალი ერთმა ყანენი და დაიძახა:

— ღენერთმა ნუ ბაეიანარენას ბენენანას, „“ და ენსენთანეენთ ბალია.

— ალმათ ბატრიოტენლის ბოსიბრენენთ თუ სენ? ბაეკითხა ენლეა.

— ბატრიოტენლის კი არა!

— ბენენანან რომ ბაიანარენენს და სანეარეენ-ენლოში „ნენეენა სხოთა“ ბენოიენან, ბე და ბენ ხომ ბოეკენდით ბიბენენთ, ხენთ ნენტარ! ჩაენთ ბიკან.

ბამენენა.

— ბოთი არ ბეენენარ? ენბანკენთ ბაეკითხა ბიკენტი.

— ბოთი ბადაენენა ჭირიმ! ჩაილამარეა ტი-ტენენ და ბიდი ნაენენი ხარენ ბლენენიან ბათა-რია.

სიენე ეაენ ამიენარენა.

ენგრენენ ბადაენარენენი ენეენ.

— ბანანენენენთ, ღვინო არა ბენაენ! ბაიხა თანალან და ბირალარ თენლენენ ბენოიენენა.

ინსტინენტენენ ენანეენიხეენ:

— ბიენ, ღვინო!

ამის თენნ იენ და ყველან სათითაოთ გაიენე-ენენ:

— ღვინო-ენ!

— ღვინო-ენ!

— ენ!!

— ენ! ენ! ბაიენრიალი კენტენ.

— ენ „ენ! ენ!“ რალი ხენი ენიდენ? ბაენ-ენენ ბიკენტის.

— „ენ, ენ“—ნიშნაენ—„ბე არ ბოამოთხა-ენა, ბაბანალენ ფენლის ინდის ის, ენინ ბაიხა ღვინო, ამოხანა ბიკენტენ.

— ენიენ და ენენ ხენს ენოლენენს!.. ხანს ყენენანი ხენი ბანენენენენენენ ენიენენან!

თენრენ, ნუ ინენენ, ენოენ ბაენენენენენთ, ბალ-ენი ენენენენენ და აენენ ენანოენენენ, ინთანენ ბოან ენალ-ენალი ხენი ხენს ენალენენ ენენენთ, — ბენ-ენენ ხენი თენრენ ბენენენ ჭენენენთ ბადენენენი და ანიშნენენენ ამანანენენს: „აენენ ენანოენთ“...

ენალ. ბალიკაენენი.

(ენანარენენ ენენენ).

სოხუმისათვის.

რაც სოხუმის მკვიდრთა კრებამ
„საყავეში“ დაიბუდა,

დღე მარად ჟამს ჩვენ თეატრში
იდგმის დრამა: **„აბლაბუდა“.**

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

პირველი უჩინარია,
გრძნობისა გამომხატველი:
მოულოდნელათ თუ შეგხვდათ
თავენ ავაზაკი მძარცველი,
ან გაქცეულნი ქუჩაში
თუ შეგეფეთენ მკვლელები,
უეცრათ შემოგიყვირეს:
„მაღლა ასწითო ხელები!“
რაც განიცადოთ იმ წუთში,
ისაა მისი სახელი.
დაჰკარით ქორონიკონი
ორმოცის გამომსახველი
შიგვე ჩასტოვეთ, მხოლოთ მით
სწორად შუაზე გაჰყევით,
და სოფლის სასამართლოში
გურიისაკენ წამყევით.
არც მივალ დასაბეზღებლათ
და არცა საჩივლელადა,
სოფლის მცხოვრებთა კრებული
ჩვენ იქ დაგვხვდება მთელადა,

გზირისგან ჩამონაწვეი
მამასახლისის ბრძანებით,
ცნობილი ზოგჯერ სიმუნჯით
და ზოგჯერ აყაყანებით.
და იმ კრებულის სახელსა
მოსტეხეთ წინა კბილები,
შვიდნი არიან სრულიად
ერთ მწკრივად დასობილები.
სამი ჩამოსტყდეს წინიდან
ოთხიც ჩვენ დაგვრჩეს მთელადა,
რაც უკვე გვქონდა, ეს იმის
ბოლოზე დასართველადა.
და სიტყვა რამე გამოვა,
მდგომარეობის სახელი,
ცხორების ჩვენის ჯადოსი
ამ ჟამა, გამომსახველი,
ოცცხლადვე კაცის დამზრობი,
გულის, გონების მსახვრელი,
ჭლექში ჩავარდეს იმისი
ცუდ შედეგების მნახველი!..

ონისიმე.



ერთ ჭირს გაუძლებს, მაგრამ თუ
ჭირს კიდევ ჭირი წაება,
თუ ომში შვილი მოუკლეს,
სახლში აქვს გლოვა, ვაება;

თუ თითონ ღარიბ-ღატაკი
ობობას ქსელში გაება...
გაგიკვირდებათ რომ დაჰგმოს
მან ეშმაკი და ღვთაება??

ქუთაისისათვის.



სიმონ ქვარიანის დამარცხება.

იყო და არა იყო რა.

„ქუთაისის თვითმართველობის გამგეობის წევრმა ს. ქვარიანმა თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანა. ქვარიანის თხოვნა დაკმაყოფილეს“.

(ამბავი გაზეთებიდან)

მო, ყური მიგდეთ მოგითხროთ სამი ნამდვილი ›ვი.

ხაზეინი და ნოქარი.

ერთ ხაზეინს, ფრიად გაქნილს და გაიძვერას, ›ი ზარმაცი ნოქარი შეხვდა და უნდოდა რომ ერმე თავიდან მოეშორებია. უმიზეზოთ დაეთხოვა, ლ-მაყალის ერიდებოდა, დაწესებული ერთი თვის ›ალგირის მიცემაც ეძნელებოდა. ისევ ხრიკს მი›ოთა: თავის ნაცნობ ვაჭრებში ნოქრის დიდი ›ა დაიწყო.

— ეგ რომ არ მყოლოდა ჩემი ვაჭრობა უკუ› დატრიალდებოდა, ეგ არის ჩემი მარჯვენა ›ი, ნოქარი ბევრი მყოლია, მაგრამ მაგისთანა ›ეგული, მუყაითი ჯერ არაფერი მინახავსო:

იმდენი აქო, რომ მეზობელმა ვაჭარმა ნოქა› გადიბირა, ჯამაგირი მოუმატა და თავისთან გა› ყვანა. პირველი ვაჭარი იცინოდა, უხაროდა › ოლათ, უხარჯოთ და ტკბილათ მოიშორა › ოდან უვარგისი ნოქარი. მეორე ვაჭარი კი 15 › ში მიზეზს ეძებდა, რაიმე შარი მოედო და დაე› ვა ნაქებარი და თითქმის შეტყუებული ნოქარი.

თავი და მდივანი.

ერთ ქალაქის თავს (მართლა თავიან კაცს) › ათ უხეირო და უსარგებლო კაცი შეხვდა. ს ქაღალდის კი არა, მოკითხვის წიგნის დაწე› რ შეეძლო; სხვის ნაწერს კი არა, თავის და› ისაც ვეღარ კითხულობდა; არამც თუ სხვისი › პარაკეკი ჩაეწერა, არამედ მისი ნაფიქრის ქა› დზე გადატანა არ შეეძლო. ქალაქის თავს › ანი არ მოსწონდა, მაგრამ რადგან მდივანს › გავლენიანი პირი ყავდა მფარველად მოერი› პირდაპირ არ გააგდო. დატრიალდა დაფაცურ› ა „კალმახი მორევში გადაისროლა“, „მელა › ბეში დაამწყვდია“.—მდივანს „მიროვოი პოს› იკის“ ადგილი უშოვნა, გამოსათხოვარი ვახ› გაუმართა და ცრემლით გამოეთხოვა თავის › ჯვენა ხელს“.

დირექტორი და მასწავლებელი.

იყო და არა იყო რა. . დიახ არა იყო რა, მაგრამ, რაკი ამ „არა იყო რამ“ დიდი სახელი გაითქვა მამულიშვილებში აღტყინებით, სხვების ლანძღვა-გინებით და ისტორიული ნარეცხის ავტორობით, ამიტომაც მიიწვიეს მამულიშვილთა სკოლაში მასწავლებლად. მამულის შვილზე დიდ იმედს ამყარებდენ, მაგრამ მოსწავლეებმა ადრე აითვალწუნეს, ბოიკოტის გამოცხადებაც დაუპირეს. სკოლის დირექტორი დაფიქრდა: დაითხოვოს, როგორ დაითხოვოს ცნობილი მოღვაწე, ვინ დაიჯერებს, რომ ის მასწავლებლად არ ვარგა, მტრებსაც გაუხარდება, მით უმეტეს „მტრები“ წინადვე ამბობდენ არ ვარგა მასწავლებლად, ქარიანი კაციაო. დიდ, დიდ საგონებელში ჩავარდა დირექტორი. მისდა საბედნიეროთ ამ დროს, იმავე ქალაქში დაიცალა ქალაქის თვით-მართველობის გამგეობის ადგილი. შეიქნა ღირსეული კანდიდატის ძებნა. ამან ეს დაასახელა, იმან ის. დირექტორმაც აიმაღლა ხმა და მოახსენა დარბაისლებს: „მე მეგულება ერთი კაცი, რომელიც შესძლებს გაამართლოს თქვენი იმედი, მაზე უკეთესს თქვენ ვერ იშოვით, მაგრამ ის პატიცემული პირი დღეს უკეთეს ადგილას არის, უფრო სასარგებლო საქმეს ემსახურება, მომავალ მამულიშვილებს გვიზრდის. ის თვალია ერთი საშუალო სასწავლებლის და მისი მოშორება სკოლის დახურვას უდრის...

დარბაისლებმა გადასწყვიტეს: სკოლა მის მაგიერ მასწავლებელს იშოვის, მაგრამ ქალაქი კი ვერა, ამიტომაც აახლეს „იყო და არა იყორას“ დეპუტაცია და სთხოვეს ეპატრონა ქალაქისთვის. დეპუტაციამ დაუმტკიცა, რომ ქალაქის ხსნა მხოლოდ მას შეუძლია, მის საყვარელ სკოლას კი აქედანაც მიხედავს.

როგორც იქნა დაითანხმეს და მოჰგლიჯეს სკოლას. დირექტორმა და მასწავლებელთა კორპორაციამ თავისუფლათ ამოისუნთქა და გამოსათხოვარი ვახშამი გამართა.

დასრულდა ესე ამბავი კიდევ გამოსათხოვარ ვახშამდე.

შრაპნელი.



რედაქტორის თავ-გადასავალი

თანამედროვე „ზღაპარი“ ვლ. აზ-ვისა

(ფუძდვსი „მათრახის“ კორესპონდენტებს)

ერთ სახელმწიფოში, პროფესიით ჟურნალისტმა განიზრახა გაზეთის გამოცემა. აიღო ამისათვის საჭირო ნება-რთვა გუბერნატორისაგან და რამდენიმე ხნის შემდეგ გამოცემაც დაიწყო. .

სწერდა, ჩვეულებრივათ შინაურს, თუ გარეშე პოლიტიკაზე, არკვევდა სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებს და სხვათა შორის, უყურადღებოთ არ სტოვებდა ადგილობრივ გუბერნატორსა და პოლიციურ ადმინისტრაციის მოქმედებასაც... მაგრამ, არ გასულა დიდი ხანი, რომ გაზეთი დახურეს და რედაქტორიც, გუბერნატორძა თავის საგუბერნიოდან გააძევა... მაგრამ, საქმე ამით არ გათავდა. მან აქაც მეორე გუბერნიაშიც, აიღო გუბერნატორისაგან ნება-რთვა და განაგრძო ხელახლათ გაზეთის გამოცემა... სწერდა იმავე ტემაზე და ისევ ადგილობრივ გუბერნატორსა და პოლიციურ ადმინისტრაციის მოქმედებაზე... მაგრამ, მცირე ხნის შემდეგ გაზეთი აქაც დახურეს და რედაქტორიც, გუბერნატორმა თავის საგუბერნიოდან გააძევა... მაგრამ, მოუსვენარმა რედაქტორმა აქაც ვერ მოისვენა...

აიღო მესამე გუბერნიაშიც ნება-რთვა და განაგრძო ისევ გაზეთის გამოცემა; იმავე ტემაზე და ისევ ადგილობრივ გუბერნატორსა და პოლიციაზე... მაგრამ აქაც იგივე დღე დაადგა, რაც სხვაგან...

ამგვარათ, რედაქტორმა შემოიარა სახელმწიფოს ყველა, — ოთხმოცდა ათი გუბერნია... ყველგან გაზეთს სცემდა; სწერდა ერთსა და იმავე ტემაზე, — გუბერნატორებსა და პოლიციაზე და ყველა გუბერნიებიდან გააძევეს...

სხვა გზა ვერ მონახა; გადაწყვიტა ისევ თავის მოკვლა.

დასწერა ანდერძი, ჩადო კონვერტში და დასტოვა სამწერლო მაგიდაზე. . თვითონ კი, გაეშურა იქვე, ახლოს მდინარეზე, თავის დასახრჩობათ. მივიდა თუ არა — ერთი პატარა მაღლობიდან, კისრით გადაეშვა მდინარის სიღრმეში... მაგრამ, იღბლათ, გაუჩნდა კაცი, რომელმაც ის დახრჩობას გადაარჩინა. ამოიყვანა წყლიდან, აღმოუჩინა საჭირო დახმარება და როდესაც მოსულიერდა, — ჩვეულებრივათ შეეკითხა, თუ რამ მი-ყვანა ის თავის დახრჩობის განზრახვამდე და სხვა... მანაც ყოველივე თავ-გადასავალი უამბო, თუ რაც შეხვდა ცხოვრებაში და, რომ მეტი გზა აღარ გაჩნდა...

როდესაც ყოველივე მოისმინა ულცნობმა, — მსგავსი დაბრკოლების თავიდან ასაშორებლათ, ურჩია რედაქტორს სამოღვაწეო გეგმის შეცვლა. უთხრა გამოეცა ერთ რომელიმე გუბერნიაში გაზეთი და განეგრძო თავის მოღვაწეობა, იმ პირობით, რომ ადგილობრივ გუბერნატორსა და პოლიციის მოქმედებას არ შეხებოდა... ამის გარეშე კი, ეწერა ვისზე და რაზეც უნდოდა: სხვა კითხვებზე, სხვა გუბერნიის პოლიციასა და გუბერნატორებზე და სხვა... ხოლო, როცა იმათზე საკმაოთ გულს იჯერებდა, გადასახლებულიყო მეორე გუბერნიაში და იქაც იმავე გეგმითა და პირობით განეგრძო გაზეთის გამოცემა...არ შეხებოდა ადგილობრივ გუბერნატორსა და პოლიციას, ეწერა სხვა ტემაზე, სხვა გუბერნიის პოლიციასა და გუბერნატორებზე და სხვა... ამ რიგათ, ყველა გუბერნატორებსა და პოლიციასაც „გაჩისტავ“ და გაზეთის გამოცემაც უზრუნველ ყოფილი იქნებაო...

რედაქტორს ეს რჩევა ჭკუაში მოუვიდა... მართლაც, გადასახლდა ერთ გუბერნიაში, აიღო გაზეთის ნება-რთვა გუბერნატორისაგან და აღუთქვა, რომ მას და საერთოთ ადგილობრივ პოლიციას არ შეეხებოდა...

დაიწყო გაზეთის გამოცემა. დაპირებისამებრ არას ამბობდა ადგილობრივ გუბერნატორისა და პოლიციის მოქმედებაზე... ამის გარეშე სწერდა ვისზე და რაზეც უნდოდა: სხვა კუთხეებზე, სხვა გუბერნიის პოლიციასა და გუბერნატორებზე და სხვა...

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც მათზე ყოველივე გამოქექა და გული იჯერა — გადასახლდა მეორე გუბერნიაში და იქაც იმავ პირობით და — გეგმაზე განაგრძო გაზეთის გამოცემა...სწერდა ყველაფერზე... სხვა გუბერნიის პოლიციაზე, სხვა — გუბერნატორებზე და სხვა.. ხოლო ადგილობრივათ არ შეხებია წიწმატის ძირსაც კი...

ამგვარათ, რედაქტორმა შემოიარა სახელმწიფოს ყველა გუბერნიები... ყველგან გაზეთს სცემდა; არც ერთგან ადგილობრივ გუბერნატორსა და პოლიციას არ შეხებია; მაგრამ ყველაზე ჯული იჯერა და გაზეთის გამოცემაც უზრუნველ ყოფილი იყო...

ამაზე ითქმის: „ხერხი სჯობია ლონესა, თუ კაცი მოიგონებს“.

ახლათ მოსული.

ᲝᲛᲘᲡ ᲘᲚᲘᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ. (დასავლეთის ბრძოლის ველზე).

ბრძოლა გერმანიის მზვერავთა და ფრანგების ჯავშნიან ავტომობილისა.



ფუგასების აფეთქება და იერიში.

წერილი საქართველოდან.

ბ. ეშმაკო! ღმერთმა იცის, სიცოცხლეში შენი კარგი მეგობარი ვიყავი და ჩემი გარდაცვალების დღიდან არც ისე დიდი ხანია, რო დაგვიწყებოდე. ამიტომ იმედი მაქვს ჩემს პატარა თხოვნას ყურადღებით მოისმენ:

საქმე იმაშია, რომ როგორც გავიგე თქვენ ჟურნალში ვიღაცა ჩემი სახელით სამეგრელოდან წერილებს ათავსებს. სხვათა შორის ამ პირის შემწეობით თქვენი მათრახის კუდი მამა თევდორაძესაც წვდენია. ამას იგი გაუბრაზებია და ლამის საფლავიდან ამომათრიოს. უთქვამს: „მე რა დავაშავე ამდენი, რო ასე მლანძღავს ის გარუჯული პერსიანიო“, მომდგარა და ამტკიცებს, რომ ქოლობნელმა მღ. მამა მიქაძემ აკი ვარესი ჩაიდინა?.. სათხოვრათ მისული ხალხი, რომ დრამა ფული ცოტა ხნით ედროვებია, ლანძღვა-გინებით გაისტუმრა და ფიცხელი ბრძანებით შეუდგა ფულების აკრებასო. ერთი სიტყვით ალაჰმა უწყის, ძმაო ეშმაკო, მაგათი საქმე. მე მხოლოთ იმასა გთხოვ, როგორმე დამიხსნა მღვდლების შარიდან, თორე! იქ ეშმაკები კუპრის ცეცხლში დაწვას მიპირებენ.

ჯერ ერთი, მართალია, ოდესღაც მეც ქართველი ვიყავი, მაგრამ დროთა ბრუნვით, ქართულისა დღეს არაფერი გამეგება, და ყოველივე ეს პატივცემულმა გ. გურულმა მიამბო, წერილიც მას დავაწერიე. მასთან, ორი წელი გადის რაც გარდავიცვალე. იმედი მაქვს ძმაო ეშმაკო დაარწმუნებ მღვდლებს, რომ ამ პირობებში წერა შეუძლებელია და კორესპონდენტობასაც თავიდან მომაცილებთ.

სათარხანი.

დეპეშები.

აბაშა. (სამეგრელო) აქაურ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. აი საქმე რაშია: თქვენ კარგათ იცით, რომ ოდესღაც აქ მომხმარებელი საზოგადოება „ანგარიში“ (ანუ უანგარიშობა) არსებობდა. ჰო... და აი... ამ დაწესებულების გამგეობამ და შიგ დროზე მოკალათებულ უანგარიშო მოანგარიშეებმა ქე... წაიმასჩნეს... მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა, კითხვა ვაჭრებზეა.

რაკი ევროპის ომი კარებზე მოგკადგა, საზოგადოებამაც გამგეობაში ყველა სტრატეგიის მცოდნე პირები აირჩია. არც მოსტყუვდენ. ვინაიდან მოსალოდნელი იყო ოსმალთა შემოსევა და საზოგადოების ქონების მტრის ხელში ჩავარდნა, შეუდგენ სავაჭროთა სრულათ დაცვას და თავიანთ სახლებში გადახიზვნას. თქვენ წარმოიდგინეთ ხალხი იმდენათ მოუმზადებელი აღმოჩნდა, რომ არც ერთი წევრი საზოგადოებისა არ წახმარებია პ-ცემულ გამგეობას ამ საქმეში. იმ დროში გამგეობის ერთკრებაზე ვაჭრების თანადასწრებით გადაწყდა, რომ საქონელი და ინვენტარი, რაც დარჩა, განსაზღვრულ ფასებში მიეყიდნა ადგილობრივ ვაჭრებისათვის, რაზედაც სრული თანხმობა გამოსთქვეს ვაჭრებმა. დღეს კი, როგორც ირკვევა, ვაჭრებმა პირი შეკრეს და მხოლოდ, მეხუთედ ფასებში უნდათ ჩაიგდონ ხელში ყოველნაირი ნივთები, რის გამო საბრალო გამგეობის წევრები კარიდან კარზე დაწანწალებენ. როგორც იქნა სასწორი ძალით შეაჩერეს ერთ ვაჭართაგანს და ლამპას ერთი კვირაა ათრევს ერთი გამგეობის წევრი მაგრამ გაყიდვა არ მოეწყო და არა.

საჯევახო. მოლაპარაკება სასურველათ დაგვირგვინდა. ბანკის გამგეობა და საბჭო შეთანხმდენ. ვისაც ხუთი თუმნის პაით ოც და ათი თუმნის ვალი გადმოუტანია, ვექსილი აღარ გამოეცვლება.

ჯოჯოხეთელი.

აჯიქაბული. შესდგა კარტის მოთამაშეთა დრუჟინა. ჩაწერილია: 1 მღვდელი; 1 მასწავლებელი; 8 მსახიობი; 18 მანდილობანი; 27 კონტორჩიკი; 42 ტელეგრაფისტი; 75 კონდუქტორი. წევრები მიიღებიან ყოველ დღე საღ. 8 საათიდან, დილის 7 საათამდე, ადგილობრივ სასწავლებლის შენობაში.

თეოს ნათლი.

ბუკნარი. ბუკნარის მოწინავეებმა ნეიტრალიტეტი დაარღვიეს და ადგილობრივ „ფოკუსჩიკებს“ ომი გამოუცხადეს.

საჩხერე. მოქეიფეთა უმაღლეს კურსებზე დიდი ცვლილება მოხდა. მოულოდნელად გადაყენებულ იქმნა დამსახურებული ლექტორი კიმანწარაშვილი და მის ალაგას დაინიშნა ბ-ნი ტან-მორგაძე.

ონელების ამონაკვნესი.

მოგეხსენებათ რაჟის გზების უვარგისობა და მისგან გამოწვეული ფოსტის გვიან—გვიან მიღება. სწორეთ ეს არის მივიღეთ **ვილაცას მიერ საგანგე-**

ბოდ გამოგზავნილი გაზეთი „სამშობლოს“ 71 ნომერი, სადაც ამოვიკითხეთ გულის შემზარავი და მეხ-დამცემი ამბავი; ჩვენ თანამოძმე ქუთაისელ კლუბისტებს აღარ ჰყავთ თურმე თავის სულის კლიტე, თავის სულის კლაპანი — **ბაქარა და მაკო.** ჩვენ, ონელი ბაქარისტები, მთელი თავის შემადგენლობით, ე. ი. მოხდენილი და მოინტელიგენტე ხალხი, მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევთ ამ დიად დანაკლისა არა თუ ქუთაისელ კლუბისტებისა, არამედ მთელი „მოაზრე“ — ქართველობისა. აღსანიშნავად ჩვენი გულითადი დანაღვლიანებისა და თანაგრძნობისა და აგრეთვე იმ მიზნით, რომ უკვდევყოთ ჩამომავლობისთვის განსვენებულთა ხსოვნა, საჩქაროდ მოვახდინეთ კრება და ერთხმად გადავსწყვიტეთ:

1) გადახდილ იქმნას ყოველ დღე საღამოობით, ვიდრე კლუბში წასვლის დრო მოაღწევდეს, კერესელიძის მაღაზიაში ან და სამკითხველოს გვერდზე დგმულ სვაშეიკასთან (შიგნით სამკითხველოში არ იფიქროთ, ღმერთმა დაგვიფაროს იქ შესვლისაგან!) პ.... ბაქარას და მაკოს ს...ს მოსახსენებლად.

2) დაარსდეს დ. ონში ე. წ. **ბაქარას ფონდი**, რომლის სასარგებლოდაც ყოველი ონელი ბაქარისტი ვალდებულია გადასდვას თავის ჯამაგირისა და სხვა „შემოსავლის“ 110%.

3) შეიზღუდოს „ტრაურის“ — ვადის გასვლამდე ბაქარას თამაში საღამოს ცხრა საათიდან მეორე დღის თერთმეტ — თორმეტ საათამდე.

4) სასტიკი ბოიკოტი გამოეცხადოს ჟურნალ გაზეთებს და წიგნების კითხვას და საზოგადოთ გონების სავარჯიშო საქმეს და თუ კი, სამწუხაროდ ჩვენდა, მოხდა ისე, რომ ვინმე „უსაქმურმა“ — გამართა ისეთი რამე, როგორც მაგ. ლექცია, ან სხვა ამის მსგავსი ლაყბობაა, ან არ მივეკაროთ სრულიად, რადგან ამით ოქროს დრო გვეკარგება ბაქარათი განსავითარებლათ, ან და, თუ კი იძულება დაგვადგეს რომელიმე ჩვენთაგანს; ვინემს ხათრს ვერსად წაუვიდეთ და ბილეთის ფასი დავუაქოთ, ყოველივე წაკითხულ — ნათქვამი მოვისმინოთ მთქნარებით, ანუ ღრეჭითა და არშიყობით; ერთი სიტყვით, მივიღოთ ყოველი ზომა არ შეუშვათ ყურში „უსაქმურთა“ ბოდვა.

5) სასტიკი თვალყური ვადევნოთ არ გამოგვეპაროს ვინმესას ქვაბის გარიწკინება და, თუ კი გაშლილი სუფრა ვიხილოთ სადმე, თითეული ჩვენთაგანი აუცილებლათ დამსგავსოს პამპულის და რაც შეიძლება ჩანთქოს მეტი ნექტარი ბახუსისა, რომ ამით ჩავკლათ შიდ ჩვენი „ღრმა სევდა — კაეშანი“ — და 6) ეს ჩვენი დადგენილება აღსანიშნავად ჩვენი „საქმიანობის“ გამოქვეყნდეს „ეშმაკის მათრახის“ — უმახლობელეს ნომრის ფურცლებზე.

ვთხოვთ, სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ.

რაჭველი მათრახუნა.



მეპურესთან

ერთი მეფურნე პურს უსუფთაოდ აცხობდა.

ერთხელ მუშტარმა პურში ტარაკანა ნახა გამომცხვარი და გაბრაზებული მეფურნესთან მივარდა.

— ეს რასა გავს რაღაც ორი შაურის პური ვიყიდე და ისიც ტარაკანებით არის სავსე?

— როგორ! მამაცხონებულო აბა ორ შაურათ ცხენს ხომ ვერ გამოგიცხობდით!

მიუგო მეპურემ.

როკოკო.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

„ცხოვრების სიმღერები“

ლექსები ბეგლარ ახოშვირელისა.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განათლება“-ში, ოლოლას ქუჩა № 6.

მაზოლის ექიმი

მაზალის ექიმობაში გამოჩენილმა ვლადიმერ საყვარელიძემ გახსნა კაბინეტი. არჩენს უვნებელი საშვალებით: სპილოს ძვლებით და ქვით. იქვე აქვს მოწყობილი ფეხსაცმელების საწმენდი. ადრესი: ნეკრასოვის და ელისაბედის ქუჩის კუთხე.

სნეულთ სპერმინი

ნებადართულია შინაგ. სამინ. არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796

დასუსტებს

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

თუ თქვენ მოქანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გჭირთ - **გულს ნუ გაიტეხთ!** სპერმინი მოგანიჭებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ვუწოდოთ წამალი სხეულის რომელიმე ადგილობრივ ავადყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ – ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენელობაზე, გადაახალისებს მას და სწმენდავს მას დაძველებულ მავნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოჰხვდება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადასახალისებლად, აწვ- ...ლის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას, და სნეულ...ბის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებასა ...ტებს. ექიმებმა დადასტურეს, რომ სათეს ...ლე ...ბის გამონაჟური უებარი წამალია: სიბერით გამ... წვეულ უღონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემი... მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, ... ქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დაშა... ციებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, ... დამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკ... გულის სნეულებისა, შაქრის ავათმყოფობისა, ... რებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავა... მყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ... ზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და საფთია... მაღაზიებში. ფასი — 1 ფლაკონი — 2 მან. 40 ... ფასდადებით ვგზავნით ღირებულების 1/3 მიღების... შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი საწყ... პროვიზ. ახვლედიანის აფთიაქში, თფილისი, გოდ... ვინის პრასპექტი № 41, დასაკვეთად მიჰმარ... მთელი კავკასიისთვის წარმომადგენელს **ი. გ. ა... ბაძეს**, ტფილისი, გოდოვინის პრასპ. № 41.

მიღებული გვაქვს სამადლობელი წერილ... აუარებელ პირთაგან, რომლებიც სრულიათ გა... აჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნ... შეიძლება გ. ახობაძესთან.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

ფუფსუნა „ჩვენი გემო“ კვასი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუდი წყლით. სისუფთავე ქარხანაში საუტხოოთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე. გემო და სუნი მეტათ სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აიყრიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირადათ დარწმენდეთ.

რუსული იუმორი



русі. ყოველთვის კი არ ვუცხადებ ბოიკოტს შენს ენელს. აი მაგალითად მომწონს ავსტრიული საქაჯავი, ბლის ღირსებასაც თქვენზედვე გამოვცდი.

მელია და ყურძენი.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება"

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „ეშმაკის მათრახი", „თემი", „თეატრი და ცხოვრება", ქუთათური „ახალი კვალი", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.

ებადართულია სამხ. ცენზურ. სტამბა ამხ. „შრომა". რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე